

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ცნობიერების ამაღლება

ა(ა)იპ „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“
IDMC



შესავალი

- ▶ ა(ა)იპ „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრმა“ (შემდგომში - „ცენტრი“) წარმატებით განახორციელა პროექტი „არჩევნები ყველასთვის (უსინათლობისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ამაღლება“ (შემდგომში - „პროექტი“).
- ▶ პროექტის ფარგლებში მოხდა ინფორმაციის მიწოდება მოწყვლადი ჯგუფებისთვის არჩევნებისა და კონკრეტულად საარჩევნო პროცესში მათი უფლებების შესახებ.
- ▶ პროექტის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ უსინათლოები და ძალადობის მსხვერპლი ქალები.

საინფორმაციო შეხვედრები

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი საინფორმაციო შეხვედრა:

- 2017 წლის 20 სექტემბერს ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა ძალადობის მსხვერპლ ქალებთან, სადაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია არჩევნების, საარჩევნო პროცესისა და მათი უფლებების შესახებ, აგრეთვე, ძალადობის მსხვერპლ ქალებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები;
- 2017 წლის 22 სექტემბერს ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა უსინათლოებთან, სადაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია არჩევნების, საარჩევნო პროცესისა და მათი უფლებების შესახებ, აგრეთვე, ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც დაურიგდა უსინათლოებს.

პროექტი მიზნებისა და ამოცანების შესრულების ანალიზი

- ▶ პროექტის მიზანი იყო უსინათლოებისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის არჩევნების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა.
- ▶ პროექტმა ძალადობის მსხვერპლ ქალებს მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია მათი უფლებების რეალიზაციისა და საარჩევნო პროცესში ჩართვისთვის, რაც, თავის მხრივ, ზრდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას.
- ▶ პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო უსინათლოებისთვის, რადგან ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ზოგად პრობლემას წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში უსინათლოებმა არა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად მიიღეს ინფორმაცია საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით და მათ კითხვებზე, არამედ მათ დაურიგდათ ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი საინფორმაციო ბუკლეტები.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

2017 წლის 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე განხორციელდა:

- უსინათლოების საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება;
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებთან დაკავშირება, მათთან შეხვედრა და საორგანიზაციო საკითხები განხილვა;
- სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები მოგვარება, მათ შორის, ფსიქოლოგის შერჩევა და დაკავშირება, სტამბასთან დაკავშირება და შეთანხმება ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ბუკლეტების ბეჭდვაზე, ისეთი სტამბის მოძიება და შეთანხმება, რომელიც დაბეჭდავდა ბუკლეტებს ბრაილის შრიფტით;
- მოიძებნა დარბაზი ორივე შეხვედრის ჩატარების მიზნით;
- შემუშავდა და მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტები ორივე სამიზნე ჯგუფისთვის;
- შემუშავდა მონაწილეებისთვის დასასმელი კითხვები.

2017 წლის 1 სექტემბრიდან 30 ოქტომბრამდე განხორციელდა:

- მოხდა საინფორმაციო ბუკლეტების რედაქტირება;
- შედგენილ იქნა საინფორმაციო ბუკლეტების დიზაინი;
- მოხდა საინფორმაციო ბუკლეტების ბეჭდვა;
- მოხდა უსინათლოებისა და ძალადობის მსხვერპლი ქალების მოწვევა შეხვედრებზე.
- ჩატარდა შეხვედრა ძალადობის მსხვერპლ ქალებთან და მათ დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები;
- ჩატარდა შეხვედრა უსინათლოებთან და მათ დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები.

შემაფერხებელი გარემოებები

- ▶ ძირითად შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობის სირთულე და მათი მოწვევა, რადგან ისინი ერიდებოდნენ კონტაქტს, საჯაროობას და მაქსიმალურად რთული იყო მათი დარწმუნება.
- ▶ მიუხედავად აღნიშნულისა, სწორი ორგანიზაციითა და ეფექტური კომუნიკაციით მიღწეულ იქნა სასურველი შედეგი და ამაღლდა მონაწილეთა ცნობიერება საარჩევნო პროცესთან და საარჩევნო პროცესებში მათ უფლებებთან დაკავშირებით.



გმადლობთ ყურადღებისთვის